საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 642 2024 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

ქ. თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის ხელშემწყობი უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია), შემდეგი შემადგენლობით:

ა) **საქართველოს პრემიერ-მინისტრი** – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი** – კომისიის წევრი;

გ) **საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, ვიცე-პრემიერი** – კომისიის წევრი;

დ) **საქართველოს ფინანსთა მინისტრი** – კომისიის წევრი;

ე) **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი** – კომისიის წევრი;

ვ) **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი** – კომისიის წევრი;

ზ) **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი** – კომისიის წევრი;

თ) **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე** – კომისიის წევრი;

ი) **ა(ა)იპ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი** – კომისიის წევრი;

კ) **ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი** – კომისიის წევრი.

2. კომისია შეიკრიბოს საჭიროებისამებრ და განიხილოს ახალი სტადიონის პროექტირებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**